

სულიკო ჯღენტი¹, მარიამ ცაგურიძე²ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის
კონკურენტული თუ შემავსებელი ბუნება

აბსტრაქტი

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის არსებული ურთიერთმიმართება, კონკურენციის შემთხვევები და მათი სავარაუდო გადაჭრის პრაქტიკული მეთოდები ერთ-ერთი აქტუალური საკითხია იმათგან, რომელიც საერთაშორისო დონეზე არც საერთაშორისო სასამართლოებისა და არც თეორეტიკოსი პროფესორების მიერ ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის ომის მარეგულირებელ წესებსა და მშვიდობიანობის დროს მოქმედ ნორმებს შორის, ერთი შეხედვით, ურთიერთკვეთა იშვიათია, სინამდვილეში აღნიშნული ზღვარი, უმეტეს შემთხვევაში, არც ისე მკაფიოა და ხშირად გაურკვეველიც კი.

სწორედ აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატია განიხილავს ამგვარი შემთხვევების გადაჭრის მართებულ და ყოვლისმომცველი გზას - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენებას როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის პირობებში, მათ შორის, აქტიური შეიარაღებული მოქმედებების მიმდინარეობისას. ვინაიდან, შეარაღებული სამხედრო მოქმედებები არსობრივად გულისხმობს გარდაუვალ საფრთხეს, რომელიც ემუქრება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს შორის ყველაზე ძირითადსაც კი - სიცოცხლის უფლებას, წინამდებარე სტატია მიმოიხილავს კავშირს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის, თუ რა ხასიათის მატარებელია აღნიშნული

კავშირი და კონკურენციის შემთხვევაში რა გზებითა და მეთოდებით შეიძლება გადაწყდეს რომელიმეს უპირატესობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის უფლებები, ჟენევის კონვენციები, შეიარაღებული კონფლიქტი.

Abstract

The interrelationship and competition between the International Humanitarian Law and International Law of Human Rights and the possible practical solutions to this particular problem are timely and relevant topics about which neither the international courts nor the scholars have compiled a comprehensive decision. Despite the fact that the intersection of the rules of warfare and the laws regulating peacetime is rare at a glance, in reality, the lines between them are frequently blurred.

Therefore, this article outlines the appropriate and thorough approach to resolving such situations, with the aim to utilize International Law of Human Rights both in times of peace and conflict, including during active armed confrontation. Since armed military operations indicate an urgent threat to even the most fundamental of human rights - the right to life - this article examines the correlation between International Humanitarian Law and International Human Rights Law, namely, what kind of connection there is and how, in the case of competition, the superiority of one of them might be determined.

Keywords: Humanitarian law, human rights, Geneva Conventions, armed conflict.

¹ თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა: Suliko.Zhghenti646@law.tsu.edu.ge.

² თსუ იურუდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა: Mariami.Tsaguria385@law.tsu.edu.ge.

შესავალი

ომი, როგორც კაცობრიობის ისტორიის, ისე თანამედროვეობის რეალობის ნაწილია, სახელმწიფოთა მის თავიდან ასარიდებად მიმართული მნიშვნელოვანი ძალისხმევის მიუხედავად. სამხედრო მოქმედებები თავისთავად გულისხმობს გარდაუვალ საფრთხეს, რომლიც ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელებს, ცხოვრების წესს, საკუთრებას. სამოქალაქო მოსახლეობა ხშირად იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი და, შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, სხვაგან ეძიოს თავშესაფარი. მიუხედავად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინსტრუმენტებში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ მოცემული მუხლებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადამიანის უფლებათა სამართლის როლი შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას. ამ კუთხით საინტერესოა ადამიანის უფლებათა პერსპექტივა, როგორც შესაძლებლობა, შევავასოთ სახელმწიფოსა და ძალაუფლების მქონე მთავრობის როლი კონფლიქტის წარმოშობის, გამძაფრებისა და გარდაქმნის პროცესში. აღნიშნულ პროცესებში ადამიანის უფლებების გათვალისწინება და სიტუაციის შეფასება ამ გადმოსახედიდან შესაძლებელს ხდის მიმდინარე კონფლიქტის უფრო სრულყოფილად აღქმას, თანაც ისე, რომ მნიშვნელობას არ უკარგავს ადამიანის უფლებათა სამართლებრივ საფუძვლებს. კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ადვოკატირებას, როგორც არსებული ვითარების და ძალაუფლების დისბალანსის, სტრუქტურული და კულტურული ძალადობის შეცვლისკენ მიმართული ძალისხმევის. წინამდებარე სტატია მიმოიხილავს კავშირს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის, თუ რა ხასიათის მატარებელია აღნიშნული კავშირი და

კონკურენციის შემთხვევაში რა გზებითა და მეთოდებით შეიძლება გადაწყდეს რომელიმე უპირატესობის საკითხი; ამასთანავე, განხილული იქნება მათ შორის მიმართების რეგულირების პრაქტიკული მნიშვნელობა უკანასკნელ პერიოდში განხილული და მომავალში განსახილველი პოტენციური საქმედების ანალიზის საფუძველზე და, საბოლოოდ, აღნიშნული პრაქტიკის განვითარებისათვის შემოთავაზებული აუცილებელი და ყველაზე რელევანტური ინტერპრეტაციის გზები.

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ასევე ცნობილი როგორც *jus in bello*, შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართალია. შეარაღებული კონფლიქტის განმარტება მოცემული არ არის ჟენევის 1949 წლის კონვენციებში.³ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (შემდგომში: ICRC) მიერ მომზადებული ჟენევის კონვენციების კომენტარები მოიცავს ფართო განმარტებას, თუ რა უნდა ჩაითვალოს შეიარაღებულ კონფლიქტად. ჟენევის კონვენციების საერთო მე-2 მუხლის მნიშვნელობისთვის შეიარაღებულ კონფლიქტად ჩაითვლება ნებისმიერი უთანხმოება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელსაც შეიარაღებული ძალების ინტერვენციამდე მივყავართ, მაშინაც კი თუ ერთ-ერთი მხარე უარყოფს საომარი მდგომარეობის არსებობის ფაქტს.⁴ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის (შემდგომში: IAC) დეფინიცია განმარტა ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა საერთაშორისო ტრიბუნალმა (შემდგომში: ICTY) ტადიჩის საქმეში - „შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს მაშინ როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფოთა შორის ძალის

³ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად სახელშეკრულებო წყაროებს წარმოადგენს ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის 3 დამატებითი ოქმი.

⁴ Convention (I) for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Geneva, 12 August 1949. ICRC, Commentary of 2016, Article 2: Application of The Convention.

გამოყენებას“.⁵ ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს კონფლიქტის ხანგრძლივობასა და მასშტაბებს. ხოლო არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი (შემდგომში: NIAC) მიმდინარეობს სახელმწიფოსა და არა-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს (Non-state actor) ან ორ ასეთ წარმონაქმნს შორის. ICTY-მ არასაერთაშორისო კონფლიქტი განმარტა როგორც „განგრძობადი შეიარაღებული ძალადობა სახელისუფლებო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს შორის ან ასეთ ჯგუფებს შორის ერთი სახელმწიფოს შიგნით“.⁶ თუმცა, არასაერთაშორისო კონფლიქტად მიჩნევისათვის, პირველ რიგში, შეიარაღებულმა მოქმედებებმა უნდა მიაღწიონ დამაბულობის მინიმალურ დონეს, რაც კონფლიქტის ინტენსივობის მაჩვენებელი იქნება. მეორე, უნდა იკვეთებოდეს ორგანიზებულობა - შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც კონფლიქტში არიან ჩართულნი უნდა მიიჩნეოდნენ „კონფლიქტის მხარედ“ - ჰყავდეთ ორგანიზებული შეიარაღებული ძალები, ჰქონდეთ გარკვეული სტრუქტურა და შესაძლებლობა აწარმოონ სამხედრო ოპერაციები. მეორე მხრივ კი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ერთობლიობას იმგვარი ნორმებისა, რომლებიც ქმნიან საფუძველს, ინდივიდები და ჯგუფები მოელოდნენ ან/და მოითხოვონ მთავრობებისგან გარკვეული სახის მოპყრობა ან პრივილეგიები. ადამიანის უფლებათა

საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი,⁷ სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი,⁸ გენოციდის ამკრძალავი კონვენცია,⁹ რასობრივი დისკრიმინაციის ამკრძალავი კონვენცია,¹⁰ და ა.შ. თუმცა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებულად ყალიბდებოდა, მათი სხვადასხვაგვარი ისტორიული კონტექსტი ხელს არ უშლის თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს მოიცვან ორივე სფერო. მაგალითისთვის, ბავშვთა უფლებების კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ.¹¹ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დაცვის ძირითადი ობიექტი, თუმცა განსხვავებული კუთხითა და კონტექსტით, ადამიანია. გამომდინარე აქედან, უმეტეს შემთხვევაში, მათი სამართლებრივი ნორმები ხშირად მსგავსი, ზოგჯერ იდენტურიც კია. მაგალითად, სამართლის ეს ორი დარგი მიზნად ისახავს სიცოცხლის დაცვას, კრძალავს წამებასა და სასტიკ მოპყრობას, სისხლის სამართლებრივ მართლმსაჯულებას მიცემული პირებისთვის ადგენს ძირითად უფლებებს, კრძალავს დისკრიმინაციას, შეიცავს დებულებებს ქალთა და ბავშვთა დაცვისთვის,

⁵ *The Prosecutor v. Dusko Tadic*, ICTY, Case no. IT-94-1-AR72, Appeal Judgement, 15 July 1999, para. 87.

⁶ *Ibid.*, para. 561.

⁷ UN General Assembly, International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, p. 171, <https://www.refworld.org/docid/3ae6b3aa0.html>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

⁸ UN General Assembly, International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 993, p. 3, <https://www.refworld.org/docid/3ae6b36c0.html>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

⁹ UN General Assembly, Convention on the Prevention and Punishment of the Crime of

Genocide, 9 December 1948, United Nations, Treaty Series, vol. 78, p. 277,] <https://www.refworld.org/docid/3ae6b3ac0.html>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

¹⁰ UN General Assembly, Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women, 18 December 1979, United Nations, Treaty Series, vol. 1249, p. 13, <https://www.refworld.org/docid/3ae6b3970.html>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

¹¹ UN Commission on Human Rights, Convention on the Rights of the Child., 7 March 1990, E/CN.4/RES/1990/74, <https://www.refworld.org/docid/3b00f03d30.html>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

არეგულირებს საკვებისა და ჯანდაცვის უფლების ასპექტებს.¹² მიუხედავად ამკარა გადაკვეთისა, საერთაშორისო სამართლის ეს ორი მნიშვნელოვანი მიმართულება არაერთ სიტუაციას განსხვავებულად აწერიებს და არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მეორეთი არაა მოცული. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არეგულირებს მთელ რიგს ისეთი საკითხებისა, რომელიც არ ხდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროში, მათ შორის, საბრძოლო მოქმედებების წარმოება, კომბატანტისა და სამხედრო ტყვეის სტატუსი და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემების დაცვა. ამასთან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არეგულირებს მშვიდობიანი ყოფის ისეთ საკითხებს, რომლებსაც არ ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როგორიცაა პრესის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, არჩევნებში მონაწილეობისა და გაფიცვის უფლება. ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ დაშვებულ ლეტალური ძალის გამოყენებას ლეგიტიმური სამიზნის წინააღმდეგ და ცალკეული პირების დაკავებას გასამართლებისა და, ზოგ შემთხვევაში, ინდივიდუალური პროცედურების გარეშე კი. ამ კონკრეტულ შემთხვევებში ადამიანის უფლებათა სამართალი ითვალისწინებს მეტად შემზღუდავ, ადამიანთა დაცვაზე ორიენტირებულ ნორმებს, თუმცა შეიარაღებული კონფლიქტის რეალობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დადგენილი წესების იმპლემენტაცია, ხშირ შემთხვევებში, უფრო რეალისტურია.¹³ სწორედ აქიდან გამომდინარეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

ამომწურავი პასუხი გაეცეს შეკითხვას - რომელი ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე სიტუაცია სხვადასხვაგვარად არის მოწესრიგებული საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალით.

2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის როლი შეიარაღებული კონფლიქტის დროს - გადაწყვეტის თუ არა ჰუმანიტარულ სამართალს?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სუბსტანციურად განსხვავებულ ნორმებს შორის ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება კრიტიკულად მრავალჯერ განხილული საკითხია და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. თუ ჰუმანიტარული სამართალი დადგენილ წესებს შევადარებთ ადამიანის უფლებათა სამართალით დადგენილ უფლებებს, ამკარა ხდება, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს ადამიანის არსებობის პრაქტიკულად ყველა საკითხს, რომელთა უმეტესობა არ არის მოწესრიგებული ჰუმანიტარული სამართალით. ამგვარი სხვაობის არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შემდეგი ორი ტიპის სიტუაციაში მოქმედი წესების განსაზღვრას: პირველი, სადაც გამყოფი ხაზი მშვიდობასა და შეიარაღებულ კონფლიქტს შორის ბუნდოვანია (მაგალითად, როდესაც ინტენსივობის კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული NIAC-ის დროს მოქმედი წესების გამოსაყენებლად) და მეორე, როდესაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არეგულირებს გარკვეულ შემთხვევებს შეიარაღებულ კონფლიქტებშიც კი (მაგალითად, საპოლიციო ოპერაციები NIAC-ში ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე).¹⁴

¹² International Humanitarian Law International Human Rights Law Similarities and Differences, ICRC, April 2021, < file:///C:/Users/Asus/Downloads/dp_consult_3_ihl_and_ihrl_web.pdf>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

¹³ Sassòli M., *International Humanitarian Law: Rules, Controversies, and Solutions to Problems*

Arising in Warfare, Cheltenham, Edward Elgar, 2019, ch. 9.1.1.

¹⁴ ICRC Expert Meeting, 'The Use of Force in Armed Conflicts: Interplay Between the Conduct of Hostilities and Law Enforcement Paradigms' (Report prepared and edited by Gloria Gaggioli, ICRC 2013) iii, 6, 14, 16, 59.

ტრადიციულად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთსაწინააღმდეგო ან სხვადასხვაგვარად მომწესრიგებელი ნორმების თანაარსებობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართავენ *lex specialis derogat legi generali*-ს პრინციპს. აღნიშნული პრინციპის თანახმად, მეტად სპეციალური წესი გადაჭრის უფრო ზოგად ნორმას. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია და საერთაშორისო სამართლის კომისია მიმართავენ სწორედ ამ პრინციპს ორ სფეროს შორის ურთიერთმიმართების განხილვისას.¹⁵ თუმცა, ამ პრინციპის ინტერპრეტაციის სხვადასხვაგვარ ვარიაციას ვაწყდებით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა შორის.

ერთი შეხედულების თანახმად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ყოველთვის უპირატესია შეიარაღებულ კონფლიქტებში.¹⁶ ამ მოსაზრების მხარდამჭერთათვის, რომლებსაც „ჰუმანიტარული სამართლის აბსოლუტური უზენაესობის მომხრეებს“ უწოდებენ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დუმილიც კი არის მიზანმიმართული და ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის არც ერთი წესი არ არეგულირებს შესაბამის ქცევას ან საკითხს. ეს მიდგომა ვერ იქნება მხარდაჭერილი, რადგან იგი ეფექტურად (და არასწორად) უარყოფს, რომ ადამიანის

უფლებათა სამართალი მოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში. სხვათა მოსაზრებით, რომლებსაც შეიძლება „ჰუმანიტარული სამართლის ზომიერი უზენაესობის მომხრენი“ ეწოდოთ, როდესაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ არეგულირებს ამა თუ იმ საკითხს (როგორიცაა აზრის ან პრესის თავისუფლება, ან პროფესიული კავშირების შექმნის უფლება), ადამიანის უფლებათა სამართალი გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს. თუმცა, მათი რწმენით, ჰუმანიტარული სამართალი, როგორც *lex specialis*, უპირატესია და ყოველთვის გადაჭრის ადამიანის უფლებათა სამართალს ნორმათა კონფლიქტის შემთხვევაში.¹⁷

მესამე მიდგომა ემყარება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტაციის წესს, რომლის მიხედვითაც, თავად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წესებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დაცვაზე ყველაზე მეტად ორიენტირებულ ნორმას.¹⁸ თუმცა, ეს თვალსაზრისი უგულებელყოფს იმას, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ობიექტი და მიზანია არა მხოლოდ პიროვნებისთვის საუკეთესო შესაძლო დაცვის შეთავაზება, არამედ ჰუმანურობის პრინციპებსა და სამხედრო აუცილებლობას შორის ბალანსის პოვნა.

სხვები ცდილობენ ორ სფეროს შორის შესაძლო წინააღმდეგობების შემთხვევაში პრობლემა

¹⁵ Nuclear Weapons Advisory Opinion, ICJ, para. 25; Online Casebook, ICJ/Israel, Separation Wall/Security Fence in the Occupied Palestinian Territory: A. ICJ, Legal Consequences of the Construction of a Wall, para 106. For the IACCommHR; Inter-American Commission on Human Rights, *Coard v. United States*, paras. 38-44; IACCommHR, Decision on Request for Precautionary Measures (Detainees at Guantanamo Bay, Cuba) (2002) 41 ILM 532.

¹⁶ 'Response of the United States to Request for Precautionary Measures – Detainees in Guantanamo Bay, Cuba' (15 April 2002) (2002) 41 ILM 1015, 1020-21; HRCtee, 'Comments by the Government of the United States of America on the concluding observations of the Human Rights Committee'

(2008) UN Doc CCPR/C/USA/CO/3/Rev.1/Add.1, para 12; HRCtee, 'Second Periodic Report: Israel' (2001) UN Doc CCPR/C/ISR/2001/2, para. 8. Georgia v. Russia (II) (Decision on Admissibility) Application No 38263/08 (13 December 2011) para. 69.

¹⁷ Krieger H., *A Conflict of Norms: The Relationship between Humanitarian Law and Human Rights Law in the ICRC Customary Law Study*, 2006, 11 J of Conflict and Security L 265, 272; C. Droege, *'Elective Affinities?': Human Rights and Humanitarian Law*, 2008, 90 IRRC 501, 524.

¹⁸ Gaggioli G. and Kolb R., *A Right to Life in Armed Conflicts?: The Contribution of the European Court of Human Rights*, 2007, 37 IYBHR 115, 122.

სისტემური ინტეგრაციის ან ინტერპრეტაციის გზით გადაჭრან, რომელიც საერთაშორისო სამართლის სხვა მოქმედ წესებსაც ითვალისწინებს. მართლაც, სწორედ ამით შეეცადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში: ECHR ან ევროსასამართლო) საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან შესაბამისობაში მოეყვანა კონვენციის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ხუთი მიზეზი, რომელიც ითვალისწინებს პირისთვის თავისუფლების შეზღუდვას.¹⁹ თუმცა, შეუძლებელია ამომწურავ ჩამონათვალს უბრალო ინტერპრეტაციით დაემატოს მეექვსე დასაშვები მიზეზი. არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლოს ეს პრობლემა უნდა გადაეჭრა *lex specialis*-ის წესის გამოყენებით.

ყველაზე გავრცელებული მიდგომის მიხედვით კი რომელსაც ე.წ. „საერთო სივრცედ“ მოიხსენიებენ, საკითხი უნდა გადაიჭრას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში *lex specialis* გამოყენებით ლოგიკისა და საერთაშორისო სამართლის საერთო სისტემური მიზნების შესაბამისად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ყოველთვის არ წარმოადგენს *lex specialis*-ს შეიარაღებულ კონფლიქტებში.²⁰ ჰუმანიტარული სამართლის ნორმები სპეციალურ წესებს შეიცავენ შეიარაღებული კონფლიქტის გარკვეულ საკითხებზე, მაშინ როდესაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არის უფრო დეტალურად არეგულირებს სხვა საკითხებს.²¹ შესაბამისად, თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა გაანალიზდეს და სიტუაციის ყველა

მახასიათებელი საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული, რათა დადგინდეს თუ რომელი წესია სპეციალური გარკვეულ საკითხებთან მიმართებით. ამდენად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების, კონკრეტულად, მათ შორის *lex specialis*-ის წესის დადგენის ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შეფასება საყურადღებოა ECHR-ის აქტუალურ საქმეთა და სიტუაციათა ანალიზის საფუძველზე.

3. შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები - ECHR

ECHR-ის უპირატესი ფუნქციაა განიხილოს ხელშემკრელ სახელმწიფოთა მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (შემდგომში: ევროპული კონვენცია) დაცული უფლებებისა და თავისუფლებების სავარაუდო დარღვევის შემთხვევები, რომლებსაც იგი იღებს ინდივიდუალური ან სახელმწიფოთაშორისი საჩივრების სახით.²² სასამართლო პროცესის შემდეგ, სახელმწიფოს მიერ უფლების დაარღვევის დადგენის შემთხვევაში, მიიღება შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება.²³ შესაბამისად, კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.²⁴ ევროპული სასამართლოს

¹⁹ *Hassan v. The United Kingdom*, ECHR, Application no. 29750/09, Grand Chamber, Judgment Strasbourg. 16 September 2014, para. 104.

²⁰ Sassòli M., *Le droit international humanitaire, une lex specialis par rapport aux droits humains?* in Andreas Auer et al. (eds), *Les droits de l'homme et la constitution, Etudes en l'honneur du Professeur Giorgio Malinverni*, Schulthess 2007, p. 375.

²¹ Lubell N., *Challenges in Applying Human Rights Law to Armed Conflict*, 2005, 87 IRRC 737, 752.

²² European Court of Human Rights, *The ECHR in 50 questions*, 2021,

<https://www.echr.coe.int/Documents/50questions_KAT.pdf>, [ბოლოს ნანახია 21.06.2022].

²³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: კითხვა-პასუხი, ევროპის საბჭო, 2009, ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008db48>>, [ბოლოს ნანახია 21.06.2022].

²⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხ. 1; Dijk P. van & Hoof

პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს იურისდიქცია და ტერიტორია შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.²⁵ ECHR-მა საქმეზე ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ განაცხადა, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტერიტორია.²⁶ ამდენად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა იმ ტერიტორიაზეც, სადაც იგი ახორციელებს ფაქტობრივ იურისდიქციას, თუმცა არ განეკუთვნება ამ სახელმწიფოს.²⁷

3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საქართველო-რუსეთის საქმის მაგალითზე (2021 წლის გადაწყვეტილება)

2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა ისტორიული გადაწყვეტილება საქართველო-რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქმეზე საქართველო-რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევების პრაქტიკებზე რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის საკითხებს აფასებს.²⁸ აღნიშნული საქმის რეზონანსულობა გამოწვეული იყო იმით, რომ ევროპულმა სასამართლომ პირველად იმსჯელა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე და დაადგინა ხსენებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფაქტობრივი კონტროლი, რის გამოც ამ

რეგიონებში უფლების დარღვევის ფაქტებზე პასუხისმგებლობა მისი იურისდიქციის სფეროში მოექცა. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რუსეთის ფედერაციის მიერ არაერთი უფლების, მათ შორის წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, სიცოცხლის უფლების, უკანონო დაკავების აკრძალვის, პირადი ცხოვრების, გადაადგილების და საკუთრების უფლების დარღვევა.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა 2008 წლის 8-12 აგვისტოს უშუალოდ საომარი მოქმედებების დროსა და უკვე ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10 ოქტომბრამდე ე.წ. ბუფერულ ზონაში რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხზე. 2008 წლის 8-12 აგვისტოს უშუალო საომარი მოქმედებების დროს ჩადენილ დარღვევებზე, სასამართლომ რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია არ გაავრცელა, თუმცა დაადგინა რომ რუსეთი ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და „ბუფერული ზონის“ მიმართულებით 12 აგვისტოდან 10 ოქტომბრის ჩათვლით, მანამ, სანამ რუსეთის ჯარები ოფიციალურად დატოვებდნენ ტერიტორიას. სასამართლომ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაზე ორ მთავარ კრიტერიუმზე დაყრდნობით იმსჯელა, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს „ეფექტური კონტროლისა“ და „ინდივიდებზე სახელმწიფოს აგენტის უფლებამოსილებისა და კონტროლის“ ტესტს ითვალისწინებს. სასამართლომ მის წინა პრაქტიკაზე დაყრდნობით იმსჯელა, რომ შეიარაღებული ოპერაციების დროს, მათ შორის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს განხორციელებული ქმედებები არ შეიძლება

G. van, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998, p. 3.

²⁵ განსხვავებული წესია დადგენილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო

პაქტის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და უზრუნველყონ ყველა პირისათვის პაქტით გათვალისწინებული უფლებები თავისი ტერიტორიის ფარგლებში.

²⁶ *Loizidou v. Turkey*, ECHR, Application no. 40/1993/435/514, Council of Europe: European Court of Human Rights, 23 February 1995, para. 62.

²⁷ Korkelia K., Kurdadze I., *International Law of Human Rights with Emphasis on the European Convention on Human Rights (in Georgian)*, 2004, p. 14.

²⁸ *Georgia v. Russia (ii)*, ECHR, Application no. 38263/08, Grand Chamber, Judgment (merits), Strasbourg, 21 January 2021.

ავტომატურად მიიჩნეოდეს ტერიტორიის „ეფექტურ კონტროლად“. სასამართლოს დასკვნით, „დაპირისპირებულ მხარეებს შორის საომარი კონფრონტაციის მთავარი მიზანი სწორედ ისაა, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე მოიპოვოს ეფექტური კონტროლი, ხოლო ომის ქაოსის პირობებში კონტროლი ტერიტორიაზე არ ხორციელდება.“²⁹ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ბრძოლების ძირითადი ნაწილი ხდებოდა იმ ტერიტორიაზე, რაზეც მანამდე ქართული მხარე ახორციელებდა კონტროლს. რაც შეეხება მეორე ტესტს - „სახელმწიფო აგენტის მიერ ინდივიდებზე კონტროლის განხორციელება“, სასამართლომ იმსჯელა რომ ამ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს პასუხისმგებელი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა მისი აგენტის მიერ ფიზიკური ძალის და კონტროლის განხორციელება კონკრეტულ ინდივიდებზე. მეტიც, სასამართლო პრაქტიკა ზოგიერთ საქმეში უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ ფიზიკური ძალის განხორციელების მიღმაც ასეთი კონტროლი ინდივიდებზე შეიძლება მოხდეს დაკავების/დაპატიმრების შემთხვევებშიც მოპასუხე სახელმწიფოს აგენტების მიერ. თუმცა, ამ საქმეში სასამართლო დაეყრდნო მის ადრეულ გადაწყვეტილებას და განმარტა, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, როდესაც მხარეები ცდილობენ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვებას საომარი ქაოსის პირობებში, ნიშნავს რომ აქ არ ვრცელდება არც ეფექტური კონტროლი და არც სახელმწიფო აგენტის მიერ ინდივიდებზე რაიმე კონტროლი.³⁰ საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, აქტიური სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობისას, ექსტრატერიტორიული იურისდიქცია რუსეთს

არ განუხორციელებია. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა რომ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში არ ხდებოდა ის მოქმედებები, რომელიც 8-12 აგვისტოს ხდებოდა სამხრეთ ოსეთის და, ასევე, საქართველოს კონტროლირებად სხვა ტერიტორიებზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მითითება მის წინა პრაქტიკაზე არ არის ზუსტი და ამომწურავი, რადგან ის ეფუძვნება ბანკოვიჩის საქმის მოძველებულ გადაწყვეტილებას და არ ითვალისწინებს მის შემდგომ განვითარებულ სასამართლო პრაქტიკას.³¹ სასამართლომ გამოიყენა არასწორი მეთოდოლოგია, როდესაც შეაფასა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხი და ამ გზით შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ვაკუუმი.³² ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თუკი სასამართლო იმსჯელებდა რუსეთის კონტროლზე ომამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ის შეძლებდა კონტროლი დაედგინა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებშიც.

3.2. უკრაინა-რუსეთის პოტენციური საქმე - მოსალოდნელი შედეგები და დაბრკოლებები

2022 წლის 28 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარედგინა განცხადება უკრაინის მთავრობისგან, რომ მიეღო გადაუდებელი დროებითი ზომები რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინააღმდეგ, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის უფლებების იმ მასობრივ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩადიდონენ რუსი ჯარისკაცები უკრაინის სუვერენული ტერიტორიის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის დროს.³³ სასამართლოს

²⁹ *Ibid*, para. 126.

³⁰ *Bankovic and Others v. Belgium and 16 Other States*, ECHR, Application no. 52207/99, Grand Chamber Decision, 12 December 2001.

³¹ *Georgia v. Russia (ii)*, Partly Dissenting Opinion of Judge Chanturia, ECHR, Application no. 38263/08, Grand Chamber, Strasbourg, 21 January 2021.

³² Milanovic M., *Georgia v. Russia No. 2: The European Court's Resurrection of Bankovic in the*

Contexts of Chaos, January 25, 2021, <<https://www.ejiltalk.org/georgia-v-russia-no-2-the-european-courts-resurrection-of-bankovic-in-the-contexts-of-chaos/?fbclid=IwAR2FOqxPYNtMW2yCeJc0Y9auNqeMinz8sfPQ6fDWWIfYxv5ia6iBgAMQpTA>>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

³³ The request was registered under application number 11055/22, *Ukraine v. Russia (X)*, and has been examined by the President of the Court.

რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დროებითი ზომები განახორციელოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიმართ. დროებითი ზომები არის გადაუდებელი ზომები, რომლებიც, სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გამოუსწორებელი ზიანის გარდაუვალი რისკი.³⁴ სასამართლომ გაითვალისწინა მიმდინარე სამხედრო ქმედებები, რომელიც დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის სხვადასხვა ნაწილში და მიიჩნია, რომ ეს იწვევს სამოქალაქო მოსახლეობის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სერიოზული დარღვევის რეალურ და მუდმივ რისკს, კერძოდ, მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლისა (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა) და მე-8 მუხლის მიხედვით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

ამგვარი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით სასამართლომ სწორედ აღნიშნული ზომები გამოიყენა რუსეთის ფედერაციის მიმართ და გადაწყვიტა, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მიეთითებინა რუსეთის მთავრობისთვის, თავი შეეკავებინა სამხედრო თავდასხმებისგან მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ.³⁵ ასევე უზრუნველყო სასწრაფო დახმარების მანქანების და სხვა სპეციალურად დაცული სამოქალაქო ობიექტების, როგორცაა სკოლები და საავადმყოფოები უსაფრთხოება რუსული ჯარების მიერ ალყაში მოქცეულ ტერიტორიაზე.³⁶

შესაბამისად, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი რამდენიმე არსებითი თვალსაზრისით განსხვავდება რუსეთ-საქართველოს ომისგან. პირველ რიგში, 2014 წლის დასაწყისიდან ბრძოლები დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების სხვადასხვა რაიონში ერთდროულად მიმდინარეობდა. მეორეც, კონტროლი არ იყო მუდმივად ერთი მხარის ხელში და გარკვეულ ტერიტორიები რამდენჯერმე გადადიოდა ერთიდან მეორეზე. ამდენად, რუსეთ-უკრაინის საქმის პოტენციური გადაწყვეტილების კიდევ ერთი დამატებითი პრობლემაა ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედარებით მოკლევადიანი აქტიური ფაზისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ უკრაინაში საომარი მოქმედებები თითქმის შვიდი წელია სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. საქმეში საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სასამართლოს უარი იურისდიქციის გავრცელებაზე შეეხო ხუთდღიან ვადას. უკრაინაში კი მრავალი სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებული პუნქტი მოექცა აქტიური სამხედრო მოქმედებების პირობებში, თვეების ან წლების განმავლობაში. თუ, ევროსასამართლოს საქართველო-რუსეთის საქმეზე გამოყენებული ლოგიკის საფუძველზე, კონფლიქტის მონაწილე არც ერთი მხარე არ ახორციელებს კონტროლს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, უკრაინაში არსებული განგრძობადი ხასიათის ომის პირობებში იქმნება მნიშვნელოვანი ვაკუუმი, რომლის განმავლობაშიც ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელი, იურისდიქციული საფუძვლის სინაკლების გამო, თავს აარიდებს ECHR-ის მართლსაჯულებას. მოსამართლე გროზეცმა ეს

³⁴ Rule 39 of the Rules of Court, https://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf, (accessed 21 May 2022); *Interim measures*, https://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

³⁵ *Ukraine v Russia* (no. 20958/14), interim measure (no. 38263/08), 12 August 2008; interim measure, 13 March 2014, *Armenia v Azerbaijan* (no. 42521/20), interim measure, 29 September 2020, and *Armenia*

v Turkey (no. 43517/20), interim measure, 6 October 2020).

³⁶ Press release issued by the Registrar of the Court, *The European Court grants urgent interim measures in application concerning Russian military operations on Ukrainian territory*, ECHR 068, 2022, <<file:///C:/Users/Asus/Downloads/The%20Court%20grants%20urgent%20interim%20measures%20in%20application%20concerning%20Russian%20military%20operations%20on%20Ukrainian%20territory.pdf>>, [ბოლოს ნანახია: 21.06.2022].

საკითხი დააყენა თავის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში, სადაც განაცხადა, რომ „ეფექტური კონტროლის“ კონცეფციის ასეთი მკაცრი გამოყენება გამოიცხადებს ორივე მხარის იურისდიქციას ბრძოლის ველზე.³⁷ აღმოსავლეთ უკრაინაში ეს შეიძლება ნიშნავდეს იურისდიქციის არარსებობას ათასობით ინდივიდუალურ განაცხადზე, რომელიც ეხება ამბოხებულების ან სახელმწიფო შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო ოპერაციის დროს ჩადენილ დარღვევებს. ამდენად, როგორც ჩანს, ევროსასამართლოს მიერ უგულებელყოფილია აშკარა რისკები, რომლებიც თან ახლავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აქტიური შეიარაღებული მოქმედებების დროს მოქმედ ერთადერთ რეჟიმად გამოცხადებას.

დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება, კერძოდ, მათი კონკურენტული თუ შემავსებელი ბუნება, თუმცა მრავალჯერ გამოკვლეული, კვლავაც პრობლემურ და აქტუალურ საკითხად გვევლინება. მის რელევანტურობას ადასტურებს ევროსასამართლოს მიერ უკანასკნელ პერიოდში განხილული და მომავალში განსახილველი ზემოთ აღნიშნული საკმეები. მიუხედავად ამ ორი მიმართულების ნორმათა კონფლიქტის რეგულირების გზების მრავალფეროვანი ინტერპრეტაციების არსებობისა, ცალსახა პასუხი რომელიმე მათგანის მართებულობაზე, უკანასკნელი პრაქტიკის გათვალისწინებით, ჯერაც არ გამოკვეთილა. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამგვარი შემთხვევების გადაჭრის ერთადერთი მართებული და საკმარისად ყოვლისმომცველი გზაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენება ნებისმიერ დროს, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის პირობებში, მათ შორის, აქტიური შეიარაღებული მოქმედებების მიმდინარეობისას. მეტიც, მართებული

იქნებოდა იმის თქმა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა განსაკუთრებით საჭიროა სწორედ კონფლიქტის არსებობის პირობებში, მაშინ, როცა მშვიდობიანობის პერიოდში ჩვეულებრივ გარანტირებული ძირითადი უფლებებიც კი არ არის ხელმწიფადდომი სამოქალაქო მოსახლეობისათვის. ამდენად, ამ ორ სფეროს ერთმანეთის შემავსებელი ხასიათი უნდა ჰქონდეს და იმ კონკრეტულ სიტუაციებში, როცა მათი ნორმები სხვადასხვაგვარად აწესრიგებს გარკვეულ შემთხვევას, კონფლიქტი უნდა გადაწყდეს თითოეული საქმისა თუ საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით.

ცხადია შესაძლებელია ადამიანის უფლებების აქტივისტებსა და კონფლიქტების მომგვარებელ პრაქტიკოსებს შორის არსებობდეს განსხვავებული მიდგომა პრიორიტეტების, წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების შესახებ, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა ყოველი ინდივიდუალური შემთხვევების, კონტექსტის გათვალისწინებითა და საერთაშორისო სტანდარტების განვითარებით უნდა მოხდეს. რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა ორი სფეროს წარმომადგენლებს შორის მუდმივად იარსებებს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პრაქტიკა მყარად უნდა მიიწევდეს იქითკენ. რომ აღნიშნული სფეროს ნორმები არა ურთიერთგამომრიცხავ ან საწინააღმდეგო წესებად, არამედ უფრო ერთობლივ სამართლად განვიხილოთ მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის. აღნიშნული შეხედულების დამადასტურებელია გაეროს უშიშროების საბჭოს, საერთაშორისო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა რეგიონალური სასამართლოების, გაეროს გენერალური ასამბლეისა და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (და მისი წინამორბედის) ინტერპრეტაცია მოცემული საკითხისა.³⁸

³⁷ *Georgia v. Russia (ii)*, ECHR, Partly Dissenting Opinion of Judge Grozev, Application no. 38263/08, Grand Chamber, Strasbourg, 21 January 2021.

³⁸ Droege C., *The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict*, 2007, 40 Israel

ბიბლიოგრაფია

1. კორკელია კონსტანტინე და ქურდაძე ირინე, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, 2004;
2. Dijk Pieter van and Hoof Fried van, 'Theory and Practice of the European Convention on Human Rights', Kluwer Law and Taxation Publishers Deventer jNetherlands, 1998;
3. Droege Cordula, 'Elective Affinities?: Human Rights and Humanitarian Law', International Review of the Red Court, 2008;
4. Droege Cordula, 'The Interplay Between International Humanitarian Law and International Human Rights Law in Situations of Armed Conflict', 40 Israel L Rev 310, 314-7, 320-4, Research Paper No. 14-07, 2007;
5. European Court of Human Rights, the ECHR in 50 questions, 2021;
6. Fleck Dieter, 'The Handbook of International Humanitarian Law (4th Edition)', Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2021;
7. Gaggioli Gloria and Kolb Robert, 'A Right to Life in Armed Conflicts?: The Contribution of the European Court of Human Rights', Israel Yearbook on Human Rights, 2007;
8. Hill-Cawthorne Lawrence, 'Detention in Non-International Armed Conflict', Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2016;
9. ICRC, 'International Humanitarian Law International Human Rights Law Similarities and Differences', 2021;
10. Krieger Heike, 'A Conflict of Norms: The Relationship between Humanitarian Law and Human Rights Law in the ICRC Customary Law Study', Journal of Conflict and Security Law, Volume 11, Issue 2, 2006;
11. Lubell Noam, 'Challenges in Applying Human Rights Law to Armed Conflict', International Review of the Red Court, 2005;
12. Milanovic Marko, 'Georgia v. Russia No. 2: The European Court's Resurrection of Bankovic in the Contexts of Chaos', Blog of the European Journal of International Law, 25 January 2021;
13. Murray Daragh, 'Practitioners' Guide to Human Rights Law in Armed Conflict', edited by: Elizabeth Wilmshurst, Françoise Hampson, Charles Garraway, Noam Lubell, Dapo Akande, Oxford Scholarly Authorities on International Law [OSAIL], 2016;
14. Sassòli Marco, 'International Humanitarian Law: Rules, Controversies, and Solutions to Problems Arising in Warfare', Cheltenham, Edward Elgar, 2019;
15. Sassòli Marco, 'Le droit international humanitaire, une lex specialis par rapport aux droits humains?' in Andreas Auer et al. (eds), Les droits de l'homme et la constitution, Etudes en l'honneur du Professeur Giorgio Malinverni (Schulthess 2007);
16. ECHR, Georgia v. Russia (ii), Partly Dissenting Opinion of Judge Chanturia, Application no. 38263/08, Grand Chamber, Strasbourg, 21 January 2021;
17. ECHR, Georgia v. Russia (ii), Partly Dissenting Opinion of Judge Grozev, Application no. 38263/08, Grand Chamber, Strasbourg, 21 January 2021;
18. Georgia v. Russia (ii), Application no. 38263/08, Grand Chamber, Judgment (merits), Strasbourg, 21 January 2021;
19. ECHR, Hassan v. The United Kingdom, Application no. 29750/09, Grand Chamber Judgment, 16 September 2014;
20. Concluding observations of the Human Rights Committee: United States of America, CCPR/C/USA/CO/3/Rev.1, Geneva: UN, 18 Dec. 2006;
21. Advisory Opinion Concerning Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, International Court of Justice (ICJ), 9 July 2004;
22. ECHR, Bankovic and Others v. Belgium and 16 Other States, Application no. 52207/99, Grand Chamber Decision, 12 December 2001;

L Rev 310, 314-7, 320-4; *Advisory Opinion Concerning Legal Consequences of the Construction*

of a Wall in the Occupied Palestinian Territory, International Court of Justice (ICJ), 9 July 2004.

23. ICTY, The Prosecutor v. Dusko Tadic, Case no. IT-94-1-AR72, Appeal Judgement, 15 July 1999;
24. Coard et Al. v. United States, Report N. 109/99 - Case 10.951, Inter-American Commission on Human Rights (IACHR), 29 September 1999;
25. Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion, I.C.J. Reports 1996, p. 226, International Court of Justice (ICJ), 8 July 1996;
26. ECHR, Loizidou v. Turkey, Application no. 40/1993/435/514, Council of Europe: European Court of Human Rights, 23 February 1995.
27. International Committee of the Red Cross, Convention (I) for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field. Geneva, 12 August 1949, Commentary of 2016, Article 2: Application of The Convention;
28. UN Commission on Human Rights, Convention on the Rights of the Child., 7 March 1990, E/CN.4/RES/1990/74;
29. UN General Assembly, Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women, 18 December 1979, United Nations, Treaty Series, vol. 1249, p. 13;
30. International Committee of the Red Cross (ICRC), Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), 8 June 1977, 1125 UNTS 3;
31. International Committee of the Red Cross (ICRC), Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts (Protocol II), 8 June 1977, 1125 UNTS 609;
32. UN General Assembly, International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 999, p. 171;
33. UN General Assembly, International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 16 December 1966, United Nations, Treaty Series, vol. 993, p. 3;
34. Council of Europe, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, as amended by Protocols Nos. 11 and 14, 4 November 1950, ETS 5;
35. International Committee of the Red Cross (ICRC), Geneva Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field (First Geneva Convention), 12 August 1949, 75 UNTS 31;
36. International Committee of the Red Cross (ICRC), Geneva Convention for the Amelioration of the Condition of Wounded, Sick and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea (Second Geneva Convention), 12 August 1949, 75 UNTS 85;
37. International Committee of the Red Cross (ICRC), Geneva Convention Relative to the Treatment of Prisoners of War (Third Geneva Convention), 12 August 1949, 75 UNTS 135;
38. International Committee of the Red Cross (ICRC), Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War (Fourth Geneva Convention), 12 August 1949, 75 UNTS 287;
39. UN General Assembly, Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, 9 December 1948, United Nations, Treaty Series, vol. 78.